გამარჯვება ლვოვის “კარპატისთან”

ლვოვი. “დრუჟბას” სტადიონი.

“კარპატი” (ლვოვი) – “დინამო” (თბილისი) 1:2 (0:0).

“კარპატი”: შვოინიცკი, როდინი, სუსლოპაროვი, საულევიჩი, კოჩუბინსკი, ბროვარსკი, ბალი, დუბროვნი, იურჩიშინი, მოსორა, ბატიჩი (სემენკო).

“დინამო”: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, სულაქველიძე (გ. მაჩაიძე), დარასელია, ჭილაია (თავაძე), ინაშვილი, შენგელია, ყიფიანი, ჩელებაძე.

მსაჯი: ვ. გლებოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 0:1. ბურთი გაიტანა კერესელიძემ.

ლვოველთა გუნდი არც ისე დიდი ხანია, რაც უმაღლეს ლიგაში გამოდის, მაგრამ მისი და თბილისის “დინამოს” შეხვედრებს უკვე გარკვეული ტრადიციები გააჩნია. დინამოელებს საგრძნობი უპირატესობა აქვთ (7 მოგება, 5 ფრე და მხოლოდ 2 დამარცხება), მაგრამ ამ გამარჯვებებს მუდამ სჭირდებოდა შეუპოვარი, უშეღავათო ბრძოლა. მართალია, წლევანდელ გათამაშებაში ლვოველებს ჯერ ვერა აქვთ სახარბიელო მაჩვენებლები, მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ მათს წარმატებებსაც, კერძოდ, სსრ კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებში, რომელმაც სულ ამ რამდენილმე დღის წინ მოიგო ევროპის ჩემპიონის წოდება, ნახევარდაცვა თითქმის მთლიანად ლვოველებით იყო დაკომპლექტებული (სუსლოპაროვი, ბალი, კუკმანსკი), ამას გარდა, სსრ კავშირის პირველი ნაკრების შემადგენლობაში მარჯვენა მცველად სისტემატურად გამოდის როდინი. ყველაფერი ეს საინტერესოს ხდიდა გუშინდელ თამაშს.

მატჩი მართლაც საინტერესო და დაძაბული იყო. თბილისელებმა ჯერ კიდევ პირველ ტაიმში მოახდინეს თვიანთი ტაქტიკურ–ტექნიკური უპირატესობის დემონსტრირება, ბურთის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს ჩელებაძემ, შენგელიამ ყიფიანმა.

ანგარიში მეორე ტაიმის 31–ე წუთზე გახსნა ლვოველმა სემენკომ, მაგრამ ორი წუთიც არ იყო გასული, რომ ყიფიანმა შესანიშნავად შესრულებული საჯარიმოთი გაიტანა საპასუხო ბურთი – 1:1.

არც კი იყო მიწყნარებული ხმაური ტრიბუნებზე, როცა ყიფიანმა კვლავ ბრწყინვალედ ითამაშა და ახალ წარმატებას მიაღწია, რამაც გამარჯვება მოუტანა თბილისის “დინამოს”.

“ლელო”, 28 მაისი, 1980 წ.